N გ-20-03/3522
06/11/2020

3522-გ-20-03-2-202011061140

დეკანოზ არჩილ მინდიაშვილს

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2020 წლის 12 ნოემბერს, 15:00 საათზე გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია“) მოსამზადებელი სხდომა, სადაც განიხილება შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის, შპს ,,ჯი-დი-ეს თი-ვის“ და შპს ,,ტელეიმედის“ წინააღმდეგ ფიზიკურ პირ გიორგი ყიფიანის, დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის და მოქალაქეთა ჯგუფის საჩივრების განსახილველად მიღების საკითხის განხილვა (საფუძველი: მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის გვანცა ჩხეიძის მიმართვა (N20-10-2225; 04.11.2020); დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის და მოქალაქეთა ჯგუფის საჩივარი (Nშ-20-9/5262; 08.10.2020)).

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@gncc.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა ან უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გატყობინებთ, რომ დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება.

ასევე, გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ა/წ 12 ნოემბრამდე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განმცხადებლის ვინაობის დადგენის მიზნით.

აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

დანართი:

1. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის გვანცა ჩხეიძის მიმართვა (N20-10-2225; 04.11.2020);
2. გ. ყიფიანის საჩივარი (Nშ-20-9/5256; 07.10.2020);
3. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის გვანცა ჩხეიძის მიმართვა (N 20-10-2075; 08.10.2020);
4. კომისიის აპარატის აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (N20-10-2209; 02.11.2020);
5. კომისიის აპარატის აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (N20-10-2206; 02.11.2020).

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია